პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (19619) ◆ კვირა, 3 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გარდაქმნა გადაუდებელია, იგი ეხება ყველას და ყველაფერს

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

ხაბაროვსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის აქტივის თათბირზე 1986 წლის 31 ივლისს

ძვირფასო ამხანაგებო, მინდა გულთადად მოგესალმოთ თქვენ, ხაბაროვსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის პარტიულ აქტივს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. **(ტაში).**

ჩვენი დღევანდელი შეხვედრით მთავრდება ჩემი მივლინება შორეულ აღმოსავლეთში. იგი ხანმოკლე იყო, ვინაიდან ისეთი ვრცელი რეგიონისათვის, თუნდაც მისი მხოლოდ ორი მხარისათვის, შვიდი დღე, რაღა დაგმილოთ, საკმარისი არ არის. და მაინც იგი სასარგებლოც იყო, შინაარსიანიც, უამრავი შეხვედრით, საუბრით, აზრთა გაზიარებით აღსავსე. და ამ თვალსაზრისით შემიძლია ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობით. დიდი ინტერესით, და ვფიქრობ, საქმისათვის მეტად სასარგებლოდაც გავატარე აქ ეს დღეები. ბევრი შეხვედრა და საუბარი გაიმართა ვლადივოსტოკში, ნახოტკაში, ამურის კომსომოლსკში, ხაბაროვსკში, ახალი იდეები, ახალი მოსაზრებები იბადება როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის კონკრეტულ რეგიონშიც ჩვენი გეგმების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ ყოველივე, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ ამ დღეებში, კიდევ ერთხელ დასტურებს, რომ საბჭოთა ადამიანებმა დიდი კეთილებით, მე ვიტყოდი, სულითა და გულით, აღიქვეს პარტიის მიერ დასახული ღონისძიებანი, აქტიურად გამოეხმაურნენ მიღებულ გადაწყვეტილებებს. და არ შეეწყდომივარ არც ერთ ფაქტს; რომ გამოეთქვათ უარყოფითი აზრი იმის შესახებ, რაც პარტიამ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ და რასაც იგი აკეთებს პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ. ეს, ამხანაგებო, ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი პოლიტიკური დასკვნაა, რომელიც მე გამომაქვს შორეულ აღმოსავლეთში ყოფნის შედეგების საფუძველზე.

ჩვენი ხალხი ყრილობის გადაწყვეტილებებს, XXVII ყრილობაზე ჩამოყალიბებულ პარტიის პოლიტიკას უკავშირებს თავის მომავალს, გეგმებს. მას იმედი აქვს, რომ პარტიის ყრილობის მიერ შემუშავებული კურსის შესრულება, განხორციელება უდიდეს ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის ბედზე და, მაშასადამე, მთელ ჩვენს საზოგადოებაზე, მშრომელთა კოლექტივებზე, ყოველ ოჯახზე, ყოველ ადამიანზე. მაშასადამე, ჩვენ შევძელით ჩვენი საზოგადოების რეალობათა ღრმა, სერიოზული, პასუხისმგებლური მეცნიერული ანალიზის საფუძველზე წამოგვეყენებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხალხმა თავისად მიიჩნია. ეს, ამხანაგებო, დიდი საქმეა, და იმის მნიშვნელოვანი წინაამძღვარია, რომ შეეძლებთ მთელი საზოგადოებრივი ძალების, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური და ინტელექტუალური პოტენციალის შემდგომ გააქტიურებას.

არც მუშათა კლასს, არც გლეხობას, არც ტექნიკურ, არც შემოქმედ ინტელიგენციას — აღარავის აღარ უნდა ძველებურად ცხოვრება, აღარ უნდა შეურიგდეს იმას, რაც მოძველდა, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას და ჩრდილს აყენებს ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს სოციალისტურ წყობილებას. ვერც ჩვენ და ვერც თქვენ ძველებურად უკვე ვეღარ ვიცხოვრებთ, ეს აშკარაა. და ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა წინ დაჩქარების მიმართულებით.

მაგრამ არის იმის საშიშროება, ვაითუ ეს პირველი ნაბიჯი აღვიქვათ წარმატებად, თითქოს უკვე მთელ სიტუაციას დაეუფლებოდეთ. ეს ვთქვი ვლადივოსტოკში. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ხაბაროვსკშიც. ისეთი დასკვნის თუ გამოვიტანთ, დიდ შეცდომას დაუშვებთ. მიღწეული ჯერჯერობით ვერანაირად ვერ დაგვაკმაყოფილებს. საერთოდ, მიღწეულმა არასოდეს არ უნდა გვაცდუნოს. ეს ყველამ კარგად უნდა აკითვისოთ. ასეთია გასული, წინა, სულ ცოტა, ორი ათწლეულის გაკვეთილი. და ეს ახლა განსაკუთრებით საშიშია.

დიდი თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც განამტკიცებდა დაჩქარებული ზრდის ტენდენციას, ჯერჯერობით არ მომხდარა. საერთოდ, ამხანაგებო, წინ დიდი და დაძაბული მუშაობა გველის. მთავარი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, ჯერ კიდევ წინ არის. ეს კარგად უნდა ესმოდეს ჩვენი ქვეყნის პარტიულ აქტივს, მთელ პარტიას. ვფიქრობ, კარგად ესმის. ეს ხაბაროვსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის პარტიულ აქტივსაც **(ტაში).**

ეკონომიკური პოტენციალის ზრდა უნდა წარმოებულ დაგეგმვის, მართვის, მეურნეობრიობის სტილის ფართო მასშტაბის სრულყოფასთან, წარმოების განვითარების ახალი გზებისა და მეთოდების ძიებასთან ერთდროულად და მჭიდრო კავშირით. არავის არა მარტო ხაბაროვსკში, არამედ მოსკოვშიც, სამინისტროებშიც, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მთავრობასა და პოლიტბიუროში არა აქვს იმის მზამზარეული რეცეპტები, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ დაჩქარების ამოცანის შესრულება. — გზადაგზა, ახალი ამოცანების გადაწყვეტისას უნდა ვისწავლოთ. და არ უნდა გვეშინოდეს გაბედულად ვიაროთ წინ, გავწიოთ რისკი, ვიკისროთ პასუხისმგებლობა. გარდაქმნას, რომ იტყვიან, მარშის დროს, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების აქტიური გადაწყვეტის პროცესში მოვახდენთ.

ბოლო ხანს ხშირად მიწევს გარდაქმნაზე ლაპარაკი, და აქაც, ვლადივოსტოკში, ამურის კომსომოლსკში თითქმის ყოველ საუბრის დროს შევეხე ამას. შეიძლება ვინმემ იკითხოს: ერთი და იგივეს ხომ არ ვიმეორებთ, თავს ხომ არ გაბეზრებთ ამ თვალსაზრისით?

არა, ამხანაგებო, და კიდევ ერთხელ არა. ამას შემთხვევით როდი ვშვრებით. საკითხის ასე დაყენებას თავად ჩვენი განვითარების ლოგიკა, ცხოვრებისეული აუცილებლობა გვიკარნახებს. საქმე ხომ ქვეყნისათვის უაღრესად სერიოზულ და მნიშვნელოვან პროცესებს ეხება. მეტად ბევრი რამ არის დამოკიდებული გარდაქმნის წარმატებაზე და მისადმი ყურადღების ოდნავ შენელებასაც კი ვერ დავუშვებთ.

გაიხსენეთ, რა ენერგიას, რა შეუპოვრობას იჩენდა ჩვენი პარტია ჩვენი სოციალისტური ისტორიის გარდამტეხ ეტაპებზე გარდაქმნების განხორციელებაში. რამდენი გამოსვლა, სტატია უძღვნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა სოციალიზმის, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მშენებლობისადმი ახალი მიდგომის განმარტებას, როცა დადგა მისი შემოღების აუცილებლობის, ახალ ეტაპზე სახელმწიფოს მუშაობის გარდაქმნის საკითხი. იგივე შეიძლება ითქვას პირველი ხუთწლედების, სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების წლებში გადაწყვეტებისადმი პარტიის მიდგომაზეც.

დღეს საქმე ეხება არანაკლებ მასშტაბურ გარდაქმნებს. ახლანდელი გარდაქმნა მოიცავს არა მარტო ეკონომიკას, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა მხარესაც: სოციალურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ სისტემას, სულიერ-იდეოლოგიურ სფეროს, პარტიის, მთელი ჩვენი კადრების მუშაობის სტილსა და მეთოდებს. გარდაქმნა ტევდი სიტყვაა. მე ტოლობის ნიშნის დასვამდი სიტყვებს — გარდაქმნასა და რევოლუციას შორის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახული ჩვენი გარდაქმნები, რეფორმები — ეს ნამდვილი რევოლუციაა საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელ სისტემაში, ადამიანთა გულსა და გონებაში, ფსიქოლოგიასა და თანამედროვე პერიოდის, უწინარეს ყოვლისა, სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიერ წამოჭრილ ამოცანათა გაგებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, მთლიანად ქვეყანაში ერთიანი გაგებაა — ცხოვრებით შობილ კითხვებზე პასუხი უნდა ვეძებოთ არა სოციალიზმის ფარგლებს გარეთ, არამედ ჩვენი სისტემის ფარგლებში, გეგმიანი ეკონომიკის პოტენციალის, სოციალისტური დემოკრატიის, კულტურისა და ადამიანის ფაქტორის პოტენციალის გამოვლენით, ხალხის ცოცხალ შემოქმედებაზე დაყრდნობით.

ზოგიერთს დასავლეთში ეს არ მოსწონს. იქ სულ ერთთავად ელიან რაღაც ისეთს, რაც იქნება სოციალიზმიდან გადახვევა, ელიან, რომ ჩვენ ქედს მოვუხრით კაპიტალიზმს, დავესესხებით მეთოდებს. საზღვარგარეთიდან ვიღებთ უამრავ „რჩევას“, როგორ და საით უნდა ვიაროთ. წარმოებს აგრეთვე სხვადასხვაგვარი პროვოკაციული გადაცემები, ქვეყნდება სტატიები იმ მიზნით, რომ ჩირქი მოსცხონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, გათიშონ პარტიის ხელმძღვანელობა და ხალხი. ასეთი უვარგისი ცდები იმითავთვე განწირულია. პარტიისა და ხალხის ინტერესებმ განუყოფელია, ჩვენი არჩევანი და პოლიტიკური გეზი მტკიცეა და ურყევია. ამ მთავარში ხალხი და პარტია ერთიანია.

მაგრამ არ უნდა დავუშვათ არც ის, რომ ყველგასული დოგმები თვალზე ლიბრად მოგვდოს, დაამბრკოლოს ჩვენი წინსვლა, თეორიის შემოქმედებითად დამუშავება და პრაქტიკაში მისი გამოყენება ახლანდელ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე, რომელიც დაუდგა ჩვენს საზოგადოებას. ჩვენ ვერც ამას დავუშვებთ.

ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ჩვენში, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც სიტყვა „გარდაქმნას“ გაჯერვებით აღიქვამენ და ზოგჯერ გაჭირვებითაც კი გამოთქვამენ. ისინი ხშირად ამ განახლების პროცესში ხედავენ არა იმას, რასაც იგი სინამდვილეში შეიცავს, არამედ ლამის საფუძვლების შერყევას, ლამის ჩვენს პრინციპებზე უარის თქმას. ჩვენი პოლიტიკური კურსი მზნად ისახავს მთლიანად გამოავლინოს სოციალისტური წყობილების პოტენციური შესაძლებლობანი და უპირატესობანი, გადალახოს ყველა დაბრკოლება, ყველა სიძნელე ჩვენი წინსვლის გზაზე, ისპარეზი მისცეს საზოგადოებრივი პროგრესის წყაროებსა და ფაქტორებს.

მინდა კიდევ ერთ რამეს შევეხო. რაც უფრო წინ მივდივართ გარდაქმნის მიმართულებით, მით უფრო მეტად ვლინდება ამ ამოცანის სირთულე, უფრო სრულად წარმოჩნდება მომავალი მუშაობის უდიდესი მასშტაბი და მოცულობა. უფრო ცხადი ხდება, რამდენად ჩამორჩება მეურნეობასა და მართვაზე, სოციალურ საკითხებზე, სახელმწიფოებრიობასა და დემოკრატიაზე, აღზრდასა და განათლებაზე, ზნეობრივ მოთხოვნებზე ბევრი წარმოდგენა დღევანდელობის მოთხოვნებსა და ამოცანებს და, მითუმეტეს, შემდგომი განვითარების ამოცანებს.

ფეხა-ფეხა უნდა მოვხსნათ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დაგროვილი პრობლემები, თავიდან მოვაშოროთ დრომოჭმული, გაბედულად მივიღოთ შემოქმედებითი გადაწყვეტილებანი.

ცენტრალურ კომიტეტს ესმის, რომ ამისათვის დიდი ძალისხმევა და დიდი დრო იქნება საჭირო. მაგრამ ზოზინი და, მით უმეტეს, უმოქმედობა ასეთ სიტუაციაში არ გვეპატიება. აი ამიტომაც ისევ და ისევ ვუბრუნდებით ყოველმხრივი გარდაქმნის აუცილებლობას და ასე ვიზამთ, სანამ არ უზრუნველყოფთ გადაწყვეტ ძვრებს, და უწინარეს ყოვლისა ჩვენი ხელმძღვანელი კადრების აზროვნებაში, ყველა მშრომელის, მთელი საზოგადოების აზროვნებასა და ფსიქოლოგიაში.

სხვათაშორის, და ეს კიდევ ერთხელ, აქ, შორეული აღმოსავლეთის მიწაზე ედასტურად, ჩვენი საბჭოთა ადამიანები გარდაქმნას თავგამოდებით იცავენ. როგორც ჩემთვის გამოგზავნილი წერილებიდან და ხალხთან ახლანდელი ჩემი შეხვედრებიდან ჩანს, ყველაზე მეტად მათ ის აწუხებთ, ვაითუ შეეანელოთ საქმე რომელიმე მიმართულებით. აი, რა აწუხებთ მათ. მაშასადამე, მშრომელები აგრეთვე სხვადასხვაგვარი პროვოკაციული გადაცემები, ქვეყნდება სტატიები იმ მიზნით, რომ ჩირქი მოსცხონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, გათიშონ პარტიის ხელმძღვანელობა და ხალხი. ასეთი უვარგისი ცდები იმითავთვე განწირულია. პარტიისა და ხალხის ინტერესებმ განუყოფელია, ჩვენი არჩევანი და პოლიტიკური გეზი მტკიცეა და ურყევია. ამ მთავარში ხალხი და პარტია ერთიანია.

მაგრამ ეს ერთ-ორ ადამიანზე, ერთ-ორ ადამიანზე, ეს ერთ-ორ ადამიანზე — ეს ბოლოს

გარდაქმნა გადაუდებელია, იგი ეხება ყველას და ყველაფერს

(დასასრული)

მხარეში თავმოყრილია საწარმოები, რომლებიც მანქანათმშენებლობის მრავალ დარგს წარმოადგენენ. ვითარდება ისეთი პრიორიტეტული მიმართულებანი, როგორიცაა ჩარხმშენებლობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ენერგეტიკული მძიმე მანქანათმშენებლობა, ქვეყანა თქვენგან იღებს დიდმწარმოებლურ გადიდებული მოთხოვნის სახარატო-რევოლვერულ ავტომატებს, სამსხმელო წარმოებისათვის განკუთვნილ ტექნოლოგიურ მოწყობილობას, დიზელებს, დიზელ-გენერატორებს, ნაირ-ნაირ ამწეებს. მხარეში დამზადებული ძალური ტრანსფორმატორები და სხვადასხვაგვარი კაბელები პრაქტიკულად მთლიანად უზრუნველყოფს მთელი შორეული აღმოსავლეთის რაიონის მოთხოვნილებას ამ პროდუქციაზე.

მაგრამ მაღალი დასახული მიჯნების მიღწევა, ინტენსიფიკაციის კურსი მეტს მოითხოვს, დაჩქარებას მოითხოვს. ეს კი ნიშნავს, რომ ნაკლოვანებებს არ უნდა შეგურიგდეთ.

არანორმალურია, რომ ახალი ავტომატური ხაზებისა და ჩარხების დიდი ნაწილი იგზავნება ასამოქმედებელი საწარმოებისა და წარმოებების კომპლექტაციისათვის და მცირე ნაწილი—მოქმედი პარკის შესაცვლელად. ხუთწლედის დამლევისთვის შემცირდა მოწყობილობის განახლების კოეფიციენტი, ხოლო მისი გამოკლების კოეფიციენტმა 3,7-დან 3,5-მდე იკლო.

ყოველივე ამას არ შეიძლება და გავლება არ მოეხდინა ხუთწლედის შედეგებზე. წარმოების ზრდა ჩამორჩება ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდის ტემპს. მეთერთმეტე ხუთწლედში ძირითადი ფონდების ზრდის ტემპი 1,4-ჯერ ზრდის პირობებში ფონდუკუგება 14 პროცენტით შემცირდა. აი, იანგარიშეთ, რა ეფექტი მიიღო ქვეყანამ ხაბაროვსკელთა განკარგულებაში არსებული ძლავრი პოტენციალის ასეთი გამოყენებით.

მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე მთლიანად მხარის მრეწველობაში შემცირდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი. მეურნეები შეეჩვევნენ, სხვა რა გზა აქვს მომხმარებელს, წაიღებსო. მაგრამ სინდისს რაღა ვუყოთ, და იმას, რომ ქვეყანას უფრო ეკონომიური, უფრო სასიმედო, უფრო მაღალხარისხოვანი პროდუქცია სჭირდება. ბევრი 10-15 წლის მანძილზე ერთი და იგივე პროდუქციას უშვებს ერთი და იმავე ხერხებით. მორჩა და გათავდა. პირდაპირ გეტყვით, ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელებს არ უნდა მივცეთ ხელფასი, იმიტომ, რომ ყველაფერს ამას მუშა აკეთებს. დირექტორი კი, ყოველი საწარმოს მთელი მეთაურთა შემადგენლობა, უწინარეს ყოვლისა ხომ პასუხს ქვეყნის წინაშე აგებს სულ ახალ-ახალ ეკონომიურ, საიმედო, ყველაზე მაღალი მოთხოვნების შესაბამის პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ან მათი პასუხისმგებლობა.

დაგვიანებით ითვისებენ და სრულად არ იყენებენ სიმძლავრეებს. ეს ეხება იმ სამრეწველო ობიექტების 70 პროცენტს, რომლებიც ამოქმედდა და რეკონსტრუირებულია 10 წელიწადში. ესეიგი სწორედ მთელ ახალ ფონდებს, პირობითად მათ მივაკუთვნებ ბოლო 10 წლის ფონდებს, ცუდად იყენებენ, ძველები კი ცუდად გამოიყენება იმიტომ, რომ გაცვდა და მწარმოებლობა მოაკლდა, მაშასადამე, ხარისხიც დაქვეითდა, ამას დაუმატეთ გაუთავებელი რემონტები, შრომისა და სახსრების გადახარჯვა, მოცდენები. რის საფუძველზე უნდა ვიაროთ წინ, რის საფუძველზე უნდა დავიწყოთ დაჩქარება, ნუთუ ასეთი მიდგომით?

აი, გუშინ გამოფენაზე ვიყავით, და მე ვიკითხე — როგორია ავტომატური ხაზების გამოყენების პროცენტი? თურმე, 50 პროცენტი ყოფილა. ავტომატური ხაზები — ეს არის ის, რაც ზრდის შრომის ნაყოფიერებას, — გამოყენებულია 50 პროცენტი, მაშ, სად არის ჩვენი პარტიული თვალი და კონტროლი, რომლებმაც დაძინების საშუალება არ უნდა მისცენ ზოგიერთი ხელმძღვანელის სინდისს?

1975 წელს, 10 წელზე მეტი ხნის წინათ, საექსპლოატაციოდ გადაეცა ბიკინის ტრიკოტაჟის ფაბრიკა. მაგრამ 10 წლის შემდეგაც კი მისი სიმძლავრეები მხოლოდ 40 პროცენტით გამოიყენება. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი ფული იქ მკვდარ კაპიტალად ძევს. 1240 მომუშავის საპროექტო რიცხვიდან საწარმოში დასაქმებულია 520 კაცი — 40 პროცენტი. ფაბრიკის ცუდი მუშაობა ძირითადად აიხსნება მუშახელისა და სპეციალისტების ნაკლებობით. მაგრამ ისმება კითხვა — ეს განა ახლა გაირკვა? ეს, ალბათ, მაშინაც ცნადი იყო. მაშასადამე, საჭირო იყო ისეთი პროექტის შედგენა, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა სიმძლავრეთა შექმნაც, ცალკეული სოციალური წანამძღვრების შექმნაც. რა ეკონომიაა ეს? ეს ეკონომია არ არის. ეს არის უკუღმა ეკონომია, ეკონომიის აბუჩად აგდება. გააააფეს პროექტი იმით, რომ ჩამოკვეთეს მას ყველა დანახარჯები არასაწარმოო სფეროების განვითარებისათვის. მაგრამ ამ არასაწარმოო სფეროს გარეშე მკვდარია საწარმოო სფერო. სწორედ ეს არის გამკვდარება. განა ადგილობრივი ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროსათვის სიტუაცია თავიდანვე ნათელი არ იყო?

ხაბაროვსკის სამკერვალო გაერთიანება „ვოსტოკში“ სიმძლავრეთა გამოყენება ოდნავ აღემატება 50 პროცენტს. ვაგრა ეს ამხანაგებო? ჩვენს დროში, იმ ამოცანების პირობებში, რომლებიც ასე მწვავედ დადგა, — არსებული პოტენციალის ასეთი გამოყენება! იგი რომ ბრუნვაში მოვაქციოთ — უკვე გვექნება დაჩქარება.

კაპიტალურ მშენებლობაში ბევრი საკითხია გადასაწყვეტი. მეთერთმეტე ხუთწლედში ძირითადი ფონდების ამოქმედება გეგმისაგან ჩამორჩენამ თითქმის მილიარდნახევარი მანეთი, ანუ 21 პროცენტი შეადგინა. არც ერთხელ არ შესრულებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კაპიტალდაბანდებათა ათვისების წლიური გეგმა. ანდა, ძალებისა და სახსრების დაქსაქსვის პრობლემა? ახლა მხარეში ათასობით ობიექტი შენდება. ამის შედეგად დაუმთავრებელი მშენებლობა მილიარდ ას მილიონის აღემატება. მხარის სამშენებლო ორგანიზაციები ურიტმოდ მუშაობენ. ბევრი ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაეცემა წლის მეორე ნახევარში. 1986 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით, მაგალითად, საქსპლოატაციოდ გადაეცა ძირითადი ფონდების წლიური გეგმის მხოლოდ 16 პროცენტი. ეს, რა თქმა უნდა, უგარგისი პრაქტიკაა და დიდი ხანია დაგმობილია. ასეთი „მეურნეობრიობის“ შედეგებიც ცნობილია — ეკონომიკურიც და სოციალურიც. ეს თქვენ ყველამ კარგად იცით.

ავიღოთ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი. ცენტრალურ კომიტეტს აწუხებს, რომ თქვენ ყოველწლიურად ზრდით სახელმწიფო რესურსების დატვირთვას. ცენტრისაგან, სხვებისაგან მოითხოვთ, თქვენს გეგმებსა და სახელმწიფოს შეკვეთებს კი არ ასრულებთ, თუმცა ეს შეკვეთები უზრუნველყოფილია მხარისათვის დიდი კაპიტალდაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფით. მუშაობის ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფო დოტაციის დონე გაიზარდა.

გუშინ საუბარი გვქონდა საბჭოთა მეურნეობა „კრასნორეჩენსკში“. თვით საბჭოთა მეურნეობაშიც საქმე კარგად მიდის — პროდუქტიულობაც, მოსავლიც დიდია, მოგებაც კარგია. მაგრამ იქ იყო მეზობელი საბჭოთა მეურნეობების ყველა ხელმძღვანელი, და ბევრ მათგანს სულ სხვანაირი სურათი აქვს — ზარალიც დიდია, წველადობაც მცირეა, მოსავლიც ნაკლებია. ყველა საბჭოთა მეურნეობაში რომ იმდენ რძეს იღებდნენ, რამდენსაც „კრასნორეჩენსკში“, მაშინ ორჯერ მეტი საკუთარი წარმოების რძე გექნებოდათ.

ნუთუ მხარის ასეთი მძლავრი მრეწველობით, ასეთი უდიდესი მეურნეობით არ შეგიძლიათ დაეხმაროთ ისეთ მცირე სოფლის მეურნეობას, რომელსაც მხოლოდ 275 ათასი ჰექტარი სახნავი სათესი აქვს.

მთელ პროდუქციის ხომ მხარის შიგნით ხმარობენ. რა გიშლით ხელს? სხვისი მოიმედეობა — გამოგვიგზავნიანო. მაგრამ ყველამ რომ ასე იმსჯელოს და იმოქმედოს, შორს ვერ წავალთ. რა თქმა უნდა, მთლიანად ვერ უზრუნველყოფთ საკუთარ თავს, მაგრამ საკითხის ასე დაყენებაც, რომ როგორმე გაამართლოთ უყაირათობა უშუალოდ მშრომელთა საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ აგრარულ სექტორში, შეუწყნარებელია.

ამხანაგებო, უფრო აქტიურად უნდა გარდაიქმნან აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა და პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ამასთან კომპლექსის განვითარებისათვის ახლა კარგი პირობებია შექმნილი, იქნებ საუკეთესო პირობებიც კი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით.

საგანგებოდ მინდა შევეხო მომსახურების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სფეროს. ეს უშუალოდ არის დაკავშირებული პარტიის სოციალურ პოლიტიკასთან, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასთან, ესე იგი იმასთან, რაც ყრილობამ ქვაკუთხედად დააყენა. როგორც იცით, ამ ბოლო ხანს სამომხმარებლო საქონლის წარმოების სტიმულირების სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა, თანაც, არა მარტო სპეციალიზებულ საწარმოებში, არამედ პრაქტიკულად ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში, მათ შორის თავდაცვითშიც. მაგრამ ვითარება კვლავ დაძაბულია. საჭიროა სერიოზული მეცადინეობა, რომ თავი დავაღწიოთ ამ დაძაბულობას და უზრუნველყოთ ნორმალური სასაქონლო-ფულადი ბრუნვა.

ის, რაც ამურის კომსომოლსკში მოვისმინეთ, პირდაპირ გეტყვით, სამწუხაროა, აღშფოთებასაც კი იწვევს. ბევრი საკითხის გადაწყვეტა ხომ მხარის და ქალაქის ძალებითაც კი შეუძლიათ, მაგრამ არ წყდება, ეს, ამხანაგებო, წვრილმანები არ არის, ეს არის მუშათა კლასის ყოფა, რომელიც გაგლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზეც, საზოგადოებრივ გუნებაზე-განწყობილებაზეც. აქვე უნდა ითქვას: თვით ქალაქელები გვთავაზობენ თავიანთ სამსახურს. ისინი მზად არიან მონაწილეობა მიიღონ, თუ ქალაქის ხელისუფალნი დაიწყებენ მუშაობას, რათა გააკეთილშობილონ ქალაქიც, დასვენების ზონაც, გადაწყვიტონ სხვა საკითხებიც. მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საბინაო მშენებლობაშიც.

ახლა თითოეულ რეგიონს, რესპუბლიკას გამოყოფილი აქვთ გარკვეული მოცულობის კაპიტალდაბანდებანი. ივნისის პლენუმზე ჩვენ ვთქვით: ხუთწლედის გეგმა უზრუნველყავით კაპიტალდაბანდებათა ნაკლები მოცულობით, გამოთავისუფლებული სახსრები კი გამოიყენეთ სოციალური სფეროს განვითარებისათვის, ბინებისათვის და ა. შ. ჩელიაბინსკელებმა დაამუშავეს ეს საკითხები. თურმე საწარმოო მშენებლობიდან დაახლოებით 10 პროცენტი შეიძლება მოხმარდეს ბინებს, ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობას, და ახლა ხელი მოჰკიდეს და ეწევიან ამ მუშაობას, წყვეტენ ამ ამოცანას. ეს ერთი მიდგომა.

ან მეორეც, რომელიც ამურის კომსომოლსკში ვნახეთ. მძლავრი სამინისტროები, მძლავრი კოლეტივები, მუშათა კლასის დიდი კონცენტრაცია, ბინის მიღება კი მხოლოდ 10-15 წლის შემდეგ შეიძლება. ხელმძღვანელები, შეიძლება ისინი აქაც გვესწრებიან, საერთოდ, ვარძნობ, კარგი, კომპეტენტური ადამიანები არიან. მაგრამ, თუ ისინი ასე წყვეტენ სოციალურ საკითხებს, მათდამი პატივისცემა ერთბაშად მეკარგება. ეს, უფლებანი ხელმძღვანელები სოციალურ სფეროს ივიწყებენ, ასე ვთქვათ, კუდში მიიჩანჩალებენ, მაშინ პირდაპირ ეტყვით, რომ ჩვენი გეგმები ჩაიშალება, უახლესი ფონდები, მოქნილი და რობოტიზებული საწარმოები, რიცხვული პროგრამული მართვის დამმუშავებელი ცენტრები და ა. შ. — ყველაფერი ეს მკვდარი იქნება. აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნები, დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ საქმე.

გუშინ თქვენს გამოფენაზე ვნახეთ, როგორ განვითარდება მხარე მეთორმეტე ხუთწლედში. თურმე, მეთერთმეტე ხუთწლედში ბინები თქვენში მეათე ხუთწლედის დონეზე ყოფილა, არავითარი მატება არ არის. უცნაურია, ყველაფერი იზრდებოდა, ბინები კი იმავე დონეზე რჩებოდა. ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი, სამედიცინო ობიექტები და ა. შ. ნაკლები მოცულობითაც კი შენდებოდა. რა პოლიტიკაა ეს, ამხანაგებო?

საერთოდ, სოციალურმა სფერომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს მხარის პარტიული ორგანიზაციის, სახალხო მეურნეობის მთელი ხელმძღვანელი კადრების მუშაობაში, უამისოდ ვერ გადავკვეთთ შორეული აღმოსავლეთის შემდგომი განვითარების პრობლემას. ისიც, რაც დღეს არის შექმნილ, მნიშვნელოვანწილად არ გამოიყენებოდა, რა აზრი აქვს ახალი სიმძლავრეების შენებლობას, თუ ასე ჩამოვარჩენთ რეგიონის სოციალური განვითარების საქმეს. რაღაც-რაღაცებით დავეხმარებით ამურის კომსომოლსკს, უნდა დავუბრუნდეთ ზოგიერთ საკითხს, დავეხმაროთ ქალაქს. მაგრამ მთავარი, ამხანაგებო, მაინც თქვენს ხელთ არის. მინდა კიდევ შევეხო მომსახურებას.

არ ვარგა, ამხანაგებო, რომ ხაბაროვსკელები ბინების რემონტისა და მშენებლობის, ფეხსაცმლის შეკეთების, ავეჯის დამზადებისა და სხვა მომსახურებას 2-3 ჯერ ნაკლებს იღებენ, ვიდრე მთლიანად რუსეთის ფედერაციაში. სადღა არიან საბჭოები? ეს მათი ღვიძლი საქმე და მეურნეთა ღვიძლი საქმეა. სწორად იქცევიან ის სამეურნეო კადრები, რომლებიც თავიანთ საწარმოებში ქმნიან შესაძლებლობებს მომსახურების სფეროს განვითარებისათვის, და მაშინ იქ ყალიბდება სტაბილური შრომითი კოლექტივი, ადამიანებს კარგი გუნება-განწყობილება აქვთ და მთელ ძალ-ონღს წარმოებას ახმარენ. დიდი პოლიტიკოსობა არ უნდა იმას, რომ ეს გესმოდეს.

მერე, რა ინიციატივისა და თვითმოქმედების გამოვლენა შეიძლებოდა საოჯახო შრომის შემსუბუქების, ტურიზმის განვითარების, სპორტის, დასვენების, კულტურის სფეროს ბაზის შექმნისათვის. მხარეს ამისათვის უდიდესი, იშვიათი შესაძლებლობანი აქვს. ზღვისპირეთის მხარეშიც, ხაბაროვსკის მხარეშიც ამ საკითხებს, ამხანაგებო, საფუძვლიანად უნდა მოვკიდოთ ხელი, საბოლოოდ აღვკვეთოთ დამოკიდებულება მომსახურების სფეროსადმი, როგორც რაღაც მეორეხარისხოვნისადმი. სკკპ XXVII ყრილობამ მოითხოვა მძლავრი სოციალური პოლიტიკის განხორციელება. მისი მეშვეობით ჩვენ უნდა გავაქტიუროთ მთელი ადამიანისმიერი ფაქტორი და ავამოქმედოთ უდიდესი პოტენციალი, რომელიც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს საზოგადოებას აქვს. მაშინ წინ წავალთ, მაშინ გვექნება დაჩქარება. ასეთია ყრილობის მოთხოვნა. ასეთია გარდაქმნის პირობა. და ეს ყველა რაღგის პარტიულ საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების წმიდათაწმინდა ვალია.

კიდევ ერთი საკითხი. მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებაში თქვენთან ჩაბმული არ არის, ან თითქმის არ არის ჩაბმული ბევრი სამრეწველო საწარმო. ვინც ამ საქმეს თავს არიდებს, სერიოზულად უნდა მივუთითოთ. როგორ აპირებენ, ამხანაგებო, უხვად მოამარაგოთ ბაზარი? ხელფასი ამურის კომსომოლსკში დიდია, მაგრამ რა აზრი აქვს, თუ კაცი ამ ხელფასით ვერ დაიკმაყოფილებს თავის გონივრულ მოთხოვნილებებს? ვფიქრობ, ეს არც ისე ღრმა პოლიტეკონომიაა, რომ ვერ ვხედავდეთ და არ გვესმოდეს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი გვიხდება.

საქონლისა და მომსახურების დეფიციტის პრობლემების გადაჭრაში ჯამართების ინიციატივა, შეუპოვრობა, და საჭიროა გამოგძებნოთ მოსახლეობისადმი დახმარების ახალი ფორმები ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში, კერძოდ, ბევრი მშრომელი ცენტრალურ ორგანოებში გამოგზავნილ წერილებში აყენებს საკითხებს მრავალფეროვანი კოოპერაციული გაერთიანებების ფართო განვითარების შესახებ, კეთილი სიტყვით იგონებენ სარეწო კოოპერაციის სისტემას, რომელიც, როგორც ჩანს, ნაადრევად იქნა ლიკვიდირებული 50-60-იან წლებში.

სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევისა და გასავლიანი პროდუქციის გამოშვებისათვის სახელმწიფო და კოოპერაციული სექტორების საწარმოებთან დამხმარე მეურნეობებისა და სარეწების გამოყენების შესახებ. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამ მეურნეობებსა და სარეწებს შეუძლიათ ეკონომიკურ ბრუნვაში მოაქციონ ისეთი სახეობის ნედლეული და შრომის რესურსები, რომელთა მოცვა დღეს დიდ საწარმოს არ ძალუძს. ადამიანებისათვის დახმარების გაწევა შეუძლიათ და კიდეც უნდა გაუწიონ თვით საწარმოებმა. თავიანთი მუშაკებისათვის მომსახურების გაწევა ყოველნაირად უნდა წავახალისოთ. და მეურნენი, რომლებიც ამ საქმეს ეწევიან, ყველაზე აქტიურ მხარდაჭერას იმსახურებენ.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ჯერ-ჯერობით მოქმედებს დიდი ხნის ტრადიცია: შეასრულე წარმოების გეგმა, ააშენე, გაზარდე, ხოლო როგორ ცხოვრობს მუშა კაცი, ზოგიერთი ჩვენი მეურნეობის მეორეხარისხოვანი საქმეა. ეს უნდა დაიგმოს ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად. სოციალური საკითხები განსაკუთრებით აქტიურია აქ, შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ეკონომიკის განვითარება აწყდება კადრების ნაკლებობას, ხოლო კადრების ნაკლებობა იმიტომ არის, რომ მიმდინარეობს მოსახლეობის დიდი მიგრაცია ნამდვილად განვითარებული სოციალური სფეროს უქონლობის გამო. საერთოდ, ამხანაგებო, ეს საკითხები უნდა გადაეწყვიტოთ არა წარმოების განვითარების შემდეგ, არამედ წარმოების განვითარებასთან ერთად. ახლა კი, იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო სიმძლავრეები მნიშვნელოვანწილად ამოქმედებულია, პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ სოციალურ საკითხებს. მხოლოდ ასე. უნდა ვიმოქმედოთ, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გვასწავლიდა: რაც შეიძლება ნაკლები მყვირალა ფრაზები, ლაყბობა და ყოყოჩობა, ფუჭი თეორიტიკოსობა, რაც შეიძლება მეტი ყოველდღიური ზრუნვა რეალური საქმეებისათვის, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

ჩვენ გვინდა გავაქტიუროთ ადამიანისმიერი ფაქტორი და გადავიდეთ მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე. ყრილობამ მოითხოვა მართვის რადიკალური რეფორმა. წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები პრაქტიკოსთა მონაწილეობით ცენტრალურ კომიტეტისა და მთავრობის დავალებით მუშაობენ მართვისა და მეურნეობრიობის სისტემის სრულყოფის მთლიან კონცეფციაზე. გაგრძელდება დარგებისა და ქვედარგების ხელმძღვანელობის შედგომი ინტეგრაცია. შეიქმნება მართვის ეკონომიკური ქვეგანაყოფები და ორგანოები, რომელთა ორიენტირი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო საბოლოო პროდუქტი. უახლოეს დროში დავაზუსტებთ ცენტრალური ეკონომიკური უწყებების ფუნქციებსა და სტატუსს. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სახმომარაგება, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი და ა.შ.

დიდია ჩვენი ქვეყანა, უზარმაზარია მისი მეურნეობა, მრავალფეროვანია პირობები, რომლებშიც ცხოვრობენ და მუშაობენ ადამიანები. და აქ, შორეულ აღმოსავლეთში, ალბათ, უფრო ძლიერ გესმის, ის კი არა, მთელი ძალით გრძნობ, რომ არ შეიძლება, უბრალოდ შეეძლებელია მთელი ამ უზარმაზარი მეურნეობის მართვა მხოლოდ ცენტრიდან. რომ ბევრი საკითხის გადაწყვეტისათვის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი წილი ადგილმბრივმა ორგანოებმაც უნდა იტვირთონ. ეს კი ნიშნავს, რომ მათ შესაბამისი უფლებებიც უნდა მიენიჭოთ.

ერთი კვირის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. თქვენ, ალბათ, უკვე გაეცანით ამ დადგენილების შინაარსს, ჩაუფიქრდით მას — ბევრი უფლება ენიჭებათ საბჭოებს. და ჩვენ კვლავაც ამ გზით ვივლით. საბჭოებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ორ მომენტს მინდა გავუსვა ხაზი. წინათაც მიგვიღია კარგი გადაწყვეტილებანი, თუმცა, შესაძლოა, რამდენადმე სუსტი, ნაკლებ კონკრეტული. მაგრამ ეს დადგენილებანი ყოველთვის როდი მოქმედებდნენ. რატომ?

საქმე ის არის, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანოები ზედმეტ მეურვეობას უწევდნენ საბჭოებს, კისრულობდნენ ბევრი ისეთი საკითხის გადაწყვეტას, რომლებისთვისაც სწორედ საბჭოებმა უნდა აგონ პასუხი. ეს ერთი. შემდეგ, საბჭოებს ჯეროვანი პატივისცემით არ ეკიდებოდნენ სამეურნეო კადრები: დიდი ამბავი, საბჭო მოითხოვს საქალაქო ტრანსპორტის განვითარებას, საწმენდი ნაგებობის გაფართოებას, ქალაქის კეთილმოწყობას, საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობასა და ა. შ. ბევრი უბრალოდ თავიდან იშორებდა საბჭოების მტკიცე და სწორ მოთხოვნებს. ამას თავი უნდა დავაღწიოთ. განა სწორედ საბჭოების საქმიანობით არ ხორციელდება ის სოციალური პოლიტიკა, რომელიც ხალს საშუალებას აძლევს იმსჯელოს მთლიანად ჩვენი პოლიტიკის შესახებ, საით ინიშნა იგი მიმართული და როგორ არის ორიენტირებული, როგორ ემსახურება ადამიანს. ამ დადგენილებას, ამხანაგებო, მხარი უნდა დავუჭიროთ, საშუალება მივცეთ საბჭოებს იმოქმედონ და ნამდვილად მოვკითხოთ კიდეც მათ.

რაც შეეხება ახალ პირობებში საწარმოთა ფუნქციონირების საკითხებს, ახლა, როცა ახალ სამეურნეო მექანიზმს ვამოქმედებთ, როცა სამეურნეო ანგარიშის, თვითანაზღაურების, თვითდაფინანსების პრინციპებზე, იჯარის ფორთო დანერგვაზე გადავდივართ, არსებითად ჩვენს საწარმოებს უკვე მუშაობის ახალ პირობებში ვაყენებთ. ამჟამად მოქმედი დადგენილება სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ მნიშვნელოვანწილად მოძველდა. ახლა მთავრდება სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ ახალი კანონის შემუშავება. მხედველობაში გვაქვს მასში იერიდიუოდ დავამკვიდროთ მეურნეობრიობის მეთოდების ჯერ-დაქმნის, წვრილმანი მეურვეობისა და ადმინისტრირებისაგან შრომითი კოლექტივების დაცვის გეზი.

ამრიგად, შეიქმნება სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, სოციალისტური თვითმმართველობის საფუძველზე ეკონომიკის ძირითადი რგოლის ეფექტიანი საქმიანობის წინამძღვრები, მათ შორის — საწარმოთა საბჭოები ისევ ინიშნა ანალოგიურად, როგორიც ბრიგადებშია.

მაინტერესებს თქვენი აზრი. იქნებ საჭირო იყოს ამ კანონის პროექტის გამოქვეყნება? **(ხმა:** დიახ, სწორია, კარგი იქნებოდა).

თქვენს აზრს მოვახსენებ პოლიტბიუროს. ვფიქრობ, ღირს ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ეს მეტად მნიშვნელოვანია.

და კიდევ, ამხანაგებო, შინდოდა ერთი რამ მეთქვა. ხალხს შემოქმედების განვითარება, საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, ქვეყანაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება უშუალოდ აინის დაკავშირებული ორ ისეთ სერიოზულ საქმესთან, როგორიც არის დემოკრატიის განვითარება და სოციალური სამართლიანობის პრინციპების შემდგომი უზრუნველყოფა. ხალხი გამოუხმაურა პარტიის მოწოდებებს, ებმება რეალურ პროცესში არა მარტო საწარმოო კოლექტივებში, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი პროცესის ფარგლებშიც. ამას უნდა მივესალმოთ. აქ პირდაპირ გეტყვით: ჩვენმა კადრებმა — პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო კადრებმაც — უნდა ისწავლონ მუშაობა დემოკრატიის გაფართოების, ადამიანისმიერი ფაქტორის გააქტიურების, ხალხის ინიციატივის განვითარების პირობებში. რა დასამალია, ჩვენი კადრების ნაწილი საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისადმი ადამიანთა გამწვავებულ რეაქციას მტკივნეულად აღიქვამდა. და ზოგიერთ მოუსვენარ, მაგრამ დაინტერესებულ ადამიანს, რომლებიც დარწმუნებული არიან ჩვენს წყობილებასა და ჩვენს იდეოლოგიაში, გული შესტკივათ საქმისათვის, ხშირად მიაკუთვნებდნენ ხოლმე დემაგოგებს, მათ წინააღმდეგ იგონებდნენ მექანიზმებს, რომ თავიდან მოეცილებინათ, მაგრამ ისე, რომ არავის ეთქვა, კრიტიკისათვის გაუსწორდნენო.

ახლა ყველგან და რეალურად უნდა უზრუნველყოთ ხალხის მონაწილეობა წარმოების საკითხთა გადაწყვეტაშიც, საქალაქო, საოლქო, სამხარეო, და მთლიანად საზოგადოების პრობლემების გადაწყვეტაშიც. რა თქმა უნდა, დემოკრატიზაციით შეიძლება დემაგოგებმაც ისარგებლონ. მაგრამ ესენი ხომ ერთეულები არიან. ძირითადი მასა იმის მომხრეა, რომ ჯანსაღი იყოს ატმოსფერო საზოგადოებაში, რომ ხელმძღვანელობა უფრო ახლოს იყოს მშრომელებთან, ეთათბირებოდეს მათ, ანგარიშს აბარებდეს, აცნობდეს საქმის ვითარებას, დაინტერესებული იყოს იმით, რომ ყველაფერი ნათელი იყოს და ყველას შეეძლოს იმის თქმა, რაც აწუხებს.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, უწიგნური ადამიანი პოლიტიკის გარეთ დგასო. ახლა ჩვენი ქვეყანა ყველაზე წიგნიერი გავხდებოდ მსოფლიოში. ბუნებრივია ადამიანთა მისწრაფება საზოგადოებრივი ... [illegible] ... ამ ... [illegible] ... ეს. ... ყველამ უნდა დაგვიჯეროს, ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა

ფაქტები • მოვლენები

ჩანაფიქრთაგან-პრაქტიკული შედეგებისაკენ

(დასასრული)

გაერთიანება „საქქვანახშირმა“ ვერ შეასრულა გვირაბგამყვანი კომბაინებით სამთო გვირაბების გაყვანის დავალებანი. გაშიანურდა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოში“ (ნინოზეური ბოჭკოებისა და ძაფების წარმოების საქმეში დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაცია. რესპუბლიკის სახაგრომრეწვის დარგებში ვერ შესრულდა ახალი ტექნიკის დანერგვის 6 ღონისძიება, ამასთან ნახევარი — საერთო-საკავშირო მნიშვნელობისა. მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა ჩაფუშეს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების დავალება. მწვავედ დგას საექსპორტოდ გასაგზავნი პროდუქციის ხარისხის საკითხი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევის დიდ რეზერვებს შეიცავს რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციას და სამრეწველო პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გადიდებას. ამ პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაცია.

აღინიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი ძირითადად გრაფიკის მიხედვით სრულდება. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან წარმატებით არ ხორციელდება დასახული. მეტ წილ შემთხვევებში ეს გამოწვეულია მოწყობილობის უკმარისწოდებით, იმით, რომ არ ხდება დაფინანსება, ყოვნდება სამშენებლო-სამონტაჟო და გასამართავი სამუშაოები.

საბჭომ აღნიშნა, რომ დავალებათა შეუსრულებლობაც ბევრად გამოწვეულია ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების უგულებელობით, რომლებმაც დროულად არ შეიტანეს პროგრამების დავალებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური (სამმართველოს ინფორმაციაში ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოთა შემდგომი განვითარების შესახებ აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე შექმნილი და დანერგილია დასტაყვისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის, ხელოვნური ნალექების გადიდების საშუალებები და მეთოდები. დღეს ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამსახური იცავს 1,2 მილიონ ჰექტარ ფართობს, მაგრამ მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ყველა შემთხვევაში ვერ ხერხდება დასეტყვის თავიდან აცილება, და სოფლის მეურნეობას იმ რეგიონებშიც კი, სადაც წარმოებს სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლა, არცთუ მცირე ზარალი ადგება. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებმა და სპეციალისტებმა შეიმუშავეს ატმოსფერულ პროცესებზე ზემოქმედების სისტემის ავტომატიზაციის პროგრამა მართვის ავტომატიზებული სისტემა „სეტყვა“. მისი დანერგვის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება დასეტყვის წინაადმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა, შესაძლებელი გახდება მთელი წლის მანძილზე დღედაღამ გაიზომოს ატმოსფერული პროცესების სხვადასხვა მახასიათებლები, ნალექების ინტენსივობა.

საბჭომ ცნო, რომ სასარგებლოა ახალი სისტემის შემუშავება, და წინადადება წამოაყენა განაგრძონ მისი სრულყოფისა და დანერგვის სამუშაოები. ამასთან აღინიშნა, რომ უნდა მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები ასეთი კომპლექსების მომსახურებისათვის, გაუჯობესდეს სეტყვასწინააღმდეგო სამუშაოების რთული და პასუხსაგები ტექნიკის მართვისათვის კადრების შერჩევის მთელი პროცესი.

საბჭომ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა თვისებრივი ძვრები წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის საქმეში, ახალი ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დროს მეცნიერებისა და მოწინავე ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება, საწარმოთა ტექნიკური განახლების გეგმების მიახლოება დარგისა და მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის რეალურ მოთხოვნილებებთან. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ მიზნად უნდა დაისახონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის, საბოლოო შედეგების ტექნიკური განახლების მთელი პროცესის უკუგების, მანქანებისა და მოწყობილობათა მუშაობის ეფექტიანობის გადიდება.

საბჭოს სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

განსაზღვრულია უპირველესი ამოცანები

„სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილებას განიხილავენ რესპუბლიკაში ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მორიგ სესიებზე. ასე გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც თავის სხდომაზე განსაზღვრა ამ დადგენილების შესრულების უპირველესი ღონისძიებანი. მიიღო რა იგი განუხრელი ხელმძღვანელობისათვის, რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ხაზი გაუსვა, რომ იგი უნდა გახდეს ყველა საბჭოთა ორგანოს, საბჭოების თითოეული დეპუტატისა და აქტივისტის საბოქმედო პროგრამა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაეკალთა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და სახოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საბჭოების ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ფორმირებებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდიკური და პრაქტიკული დახმარების დონის ამაღლებას, მათ საქმიანობაში ფორმალიზმის აღმოფხვრას, მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ გარდაიქმნას ყველა საფეხურის საბჭოების მუშაობის სტილი და მეთოდები, საბჭოთა ორგანოებში დამკვიდრდეს დიდი პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობის, დისციპლინის, ყველგან და ყველაფერში სოციალიური სამართლიანობის მკაცრი დაცვის ვითარება. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა დაისახოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივ კომისიებთან, სახალხო კონტროლის კომიტეტებთან და ჯგუფებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დეპუტატთა ჯგუფების თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების გზები და საშუალებები. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს ხელისუფლების და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულებისათვის ბრძოლაში მათი აქტიურობის გაღრმავება, სოფლის მეურნეობის, სანინა-საყოფაცხოვრებო სექტორის ობიექტები სათბობითა და ენერგიით, როგორ ემზადებიან ენერგომეურნეობები შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის. განიხილეს აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის მიმდინარეობა.

აღინიშნა, რომ სანედლეულო, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების უდიდესი მასების წარმოებაში მოქცევისათვის, მათი აყირაოთანი და რაციონალური გამოყენებისათვის მიმდინარე გარკვეულ მუშაობასთან ერთად ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ბევრი ნაკლიცაა.

ხუთწლედის სასტარტო წელს დაწყებული მომჭირნეობისათვის ლაშქრობა ისეთ მოწინავე ქარხნებში, როგორიცაა თბილისის საავიაციო, ელმავალსაშენებელი, ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიული, „ჭიათურმანგანუმის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებებში, სხვა საწარმოებში, მოწმობს, თუ რა დიდი რეზერვები აქვთ საწარმოებსა და მშენებლობებს. ეს რეზერვები საქმეში რომ მოვაქციოთ, არ უნდა დაველოდოთ ზემოდან მითითებებს და ყოველ უბანზე შევიმუშაოთ მომჭირნეობის გეგმა, გავაერთიანოთ ძალები და უნარიანად მოვაგვაროთ მისი პრაქტიკული შესრულება.

უნდა შეექმნათ მფლანგველობის ყოველი ფაქტისადმი შეურიგებლობის ვითარება და ამავე დროს მხარი დაეუჭიროთ ყოველ ინიციატივას, რომელიც უზრუნველყოფს საერთო-სახალხო დოვლათის აყირათიან ხარჯვას.

გაერთიანებული ძალებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირი.

განიხილეს ამოცანები, რომელთა მიზანია საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენება, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ყოველმხრივი დაზოგვა. თათბირზე გამოვიდნენ საქმოთავარეენერგოს, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის, სახაგრომრეწვის, საწარმოო გაერთიანება საქტრანსგაზის, სამინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, ცეკავშირის წარმომადგენლები, რომლებმაც გააკეთეს ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილი სამრეწველო საწარმოები, სოფლის მეურნეობის, სანინა-საყოფაცხოვრებო სექტორის ობიექტები სათბობითა და ენერგიით, როგორ ემზადებიან ენერგომეურნეობები შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი ჯილდოები:

სამი პირველი ხარისხის დიპლომი და პრემია — თითოეული 1500 მანეთის ოდენობით;

ექვსი მეორე ხარისხის დიპლომი და პრემია — თითოეული 1000 მანეთის ოდენობით;

ცხრა მესამე ხარისხის დიპლომი და პრემია — თითოეული 750 მანეთის ოდენობით;

თხუთმეტი წამახალისებელი დიპლომი და პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით;

კონკურსის შედეგების მიხედვით გაიმართება საუკეთესო პლაკატების გამოფენა, გამოუშვებენ ალბომს, ხოლო დიპლომირებული პლაკატები გამოიცემა მასობრივი ტირაჟით.

იმ პლაკატებისათვის, რომლებიც დაჯილდოვდება პრემიებით და მიიღებენ დასაბეჭდად, ავტორებს ეძლევათ ჰონორარი პრემიის თანხის რაოდენობის მიუხედავად.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი.

ბიწვევთ პოლიტიკური პლაკატის კონკურსზე „მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის“

გამოიცემლობა „პლაკატმა“, სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის გამსახკომმა, საკავშირო პროფსაბჭომ, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის ფონდმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და ახალი ამბების სააგენტომ გამოაცხადეს პოლიტიკური პლაკატის საერთაშორისო კონკურსი დევიზით „მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის“.

კონკურსის მიზანია შეიქმნას სპალაკატო ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც ასახავენ მსოფლიო ისტორიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლს, საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მისწრაფებას განმტკიცონ მშვიდობა, აღაგმონ გამალებული შეიარაღება, ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ არ დაუშვან ბირთვული კატასტროფა.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიულ მხატვრებს, სტუდენტებს, სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლებისა და სასწავლებლების კურსდამთავრებულებსა და მასწავლებლებს, შემოქმედითის ორგანიზაციებს, გამომცემლობებს.

საუკეთესო პლაკატებს განსაზღვრავს საერთაშორისო ჟიური, რომელშიც შევლენ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს 14 ქვეყნის პლაკატის ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატები.

კონკურსზე უნდა წარმოადგინონ პლაკატების ორიგინალები, რომლებიც შესრულებული იქნება ნებისმიერი ტექნიკით და გამოდგება პოლიგრაფიული გამოცემისათვის. ისინი აუცილებლად უნდა იყოს დაწებებული 70X100 სანტიმეტრის ფორმატის შაგარ მუყაოზე.

საკონკურსო ნამუშევრები აღნიშნეთ: კონკურსზე „მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის“, უნდა გაგზავნოს მისამართით 117049, მოსკოვი, ყირიმის სანაპირო, 10/14.

უკანა მხარეზე უნდა აღინიშნოს შიფრი (ექვსნიშნა რიცხვი). ნამუშევარს უნდა დაერთოს დალუქული კონვერტი, რომელზეც აღინიშნება იგივე შიფრი. კონვერტში ჩაიდოს ფურცელი, რომელზეც აღნიშნული იქნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება, მუშაობის ან სწავლის ადგილი, აგრეთვე ზუსტი საფოსტო მისამართი (ყველა მონაცემი მთლიანად უნდა აღინიშნოს).

კონკურსზე ნამუშევრები უნდა გაგზავნოს 1986 წლის 31 ოქტომბრამდე. პლაკატებს, რომლებიც აღნიშნული ვადის შემდეგ გაიგზავნება — იგი განსაზღვრება ამანათზე დარტყმული შტემპელის თარიღით, ან არ შეესაბამება კონკურსის პირობებს, ჟიური არ განიხილავს და არც რეცენზიას დაწერს.

კონკურსისა და გამოფენების დამთავრების შემდეგ ავტორს შეუძლია ექვსი თვის მანძილზე პირადად ან მინდობილობით მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტში თავისი ნამუშევარი.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება პრესაში.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი ჯილდოები:

ექვსი მეორე ხარისხის დიპლომი და პრემია — თითოეული 1000 მანეთის ოდენობით;

ცხრა მესამე ხარისხის დიპლომი და პრემია — თითოეული 750 მანეთის ოდენობით;

თხუთმეტი წამახალისებელი დიპლომი და პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით;

კონკურსის შედეგების მიხედვით გაიმართება საუკეთესო პლაკატების გამოფენა, გამოუშვებენ ალბომს, ხოლო დიპლომირებული პლაკატები გამოიცემა მასობრივი ტირაჟით.

იმ პლაკატებისათვის, რომლებიც დაჯილდოვდება პრემიებით და მიიღებენ დასაბეჭდად, ავტორებს ეძლევათ ჰონორარი პრემიის თანხის რაოდენობის მიუხედავად.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი.

მეფრინავს „კოსმოს – 1767“

1986 წლის 30 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1767“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

„ვოლნია-1“

1986 წლის 30 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „ვოლნია-1“. თანამგზავრმა უნდა უზრუნველყოს შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაცია, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემა „ორბიტის“ ქსელის პუნქტებისათვის.

კავშირგაბმულობის სეანსები „ვოლნია-1“ თანამგზავრის მეშვეობით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

გამომცემლობის კოლექტივის წარმატება

1986 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გაზეთ „იზვესტიის“ საუკეთესო გამოშვებისათვის საგზაო-სატრანსპორტო სამინისტროს ბეჭდვითი საწარმოს „ბეჭდვითი ფურცლის“ ბრიგადა, ბ. ბ. ბ. ... ...

ფართოდ გაუღეთ კარი ქართველებს!

პრესა ადასტურებს

ამ ცოტა ხნის წინათ იტალიის ქალაქ პეზაროში დამთავრდა „ახალი კინოს“ XXII საერთაშორისო კინოფესტივალი.

ფესტივალში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ ამერიკაკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკები. სულ წარდგენილი იყო 40 ფილმი, აქედან 14 — ქართული.

ფესტივალზე კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული ქართული კინო, — ამის ნათელი დადასტურებაა მასალა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობ.

„ფართოდ გააღეთ კარი, ქართველები მოდიან!“ — ასე იწყებს თვის სტატიას გაზეთ „უნიტას“ კორესპონდენტი ზაური ბორელი და განაგრძობს „ამ ნათქვამში მარტო იმას კი არ გგულისხმობ, რომ ისინი ბევრნი არიან, არამედ უპირველესად იმ მრავალრიცხოვან პროდუქციას, რომელიც მათ წარმოადგინეს ქ. პეზაროს XXII საერთაშორისო კინოფესტივალზე. ქართული კინემატოგრაფია ფესტივალის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ამიერკავკასიისა და აზიის სხვა რესპუბლიკათა შორის თავისი მრავალფეროვნით, მაღალმხატვრული ფილმებით. და მართლაც, თუ ფესტივალის საკმაოდ ერცელ პროგრამას ოდნგ გულისყურით გადავხედავთ, თვალში მოგჰვდებათ რაოდენობაც და თემათა მრავალფეროვნებაც — ის მოტივები და ელემენტები, რომლებიც ასე საინტერესოდ არის გადაწყვეტილი წარმოდგენილ ფილმებში. მაგალითისათვის ს. ფარაჯანოვის „ლეგენდა სურამის ციხისა“ და გ. შენგელაიას „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაც“ საკმარისია. ისინი სიმპტომატურად გამოხატავენ მაღალ ექსპრესიულობას, თანაც თავისებურ, ორიგინალურ გადაზვევას წარმოადგენენ ხელოვნების ზუსტი კანონებისაგან. და ყველაზე მეტად, რაც თვალში საცემია, ეს არის ქართული ფილმის აშკარა ეკლექტიზმი, განსაცვიფრებელი ძალა, რაც ასე კარგად ახასიათებს ფესტივალზე ჩამოტანილ კინოსურათებში. აქ ნაჩვენები ფილმები, რა თქმა უნდა, საშუალო დონისა არ არის, ლაპარაკია მაღალხატვრულ ნამუშევრებზე და მათ დამდგმელ, ასევე, არასაშუალო დონის რეჟისორებზე, რომლებმაც არაჩვეულებრივი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზეს, რათა მაქსიმალურად წარმოდგენით თანამედროვე ცხოვრება სხვადასხვა ასპექტით — ეჩვენებინათ თავისი ქვეყნის აწმყო და წარსული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშნეს ღირსია გ. ჩოხელის ფილმი „ადამიანთა სევდა“ (1985 წ.). არ შეიძლება აუღელვებლად უყურო ამ კინოსურათს. მასში ჩანს ცხოვრებაში ფილოსოფიური ჩაღრმავება — ახალგაზრდა რეჟისორი მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლეზე. ამ ფილმისაგან მკვეთრად განსხვავებულია ე. შენგელაიას „არაჩვეულებრივი კარგად გამოკვეთილი, ორიგინალური ხელწერა. რა შეადგენს მის ამოცანას: გადმოსცეს ყველაზე ძნელი, რთული სოციალური ბალანსი, ერა, ნაციონალური, მსოფლიო. ... ...